



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაციის 006/13 მიმოხილვა<sup>1</sup>

### შეკითხვა:

ადვოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას შემდეგი შეკითხვით - რამდენად ეთიკურია აწარმოო საქმე შენი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ?

### სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატს ყოფილი კლიენტის მიმართ გარკვეული ვალდებულებები რჩება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების სახით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი კლიენტის მიღებისას. ადვოკატი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თავი აარიდოს ისეთი ურთიერთობის დამყარებას მის ახალ კლიენტთან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ყოფილი კლიენტის ინტერესებსა და ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას. ამავე დროს „ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა.“ (აპეკ-ის 3.) მან ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა, რადგან „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია.“ (აპეკ-ის 4.1.) ადვოკატს არ ეზღუდება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება, როდესაც დაცული იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პრინციპები.

### დასკვნა:

ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმის წარმოება არ ჩაითვლება საადვოკატო საქმიანობის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახის საქმიანობით ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პრინციპების განხორციელების შესაძლებლობა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c7fbb462b4e7.pdf/06%20June%202013%20006.13.pdf>